ოქმი:**ო08. 3726208001**

თარიღი:**27/07/2026**

ოქმი № 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 24 ივლისი

ქ. ოზურგეთი

13:00 – 13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, პ. კირურაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ტ. ბარამიძე, თ. ქინქლაძე, ლ. მესხი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხ. სურგულაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, შრომის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს. კ 26.02.09.292, 26.02.09.349, 26.02.09.136, 26.02.09.291, და 26.02.09.131) ტურისტული და დასასვენებელი კომპლექსის (დამხმარე ინფრასტრუქტურით) მშენებლობისათვის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ირაკლი ანდღულაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი- ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი პროექტი და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი- საკრებულოს განკარგულების პროექტი მუხლობრივად და კონკრეტულად კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ. აღნიშნა, რომ საკითხი გამომდინარეობს პირველად განხილული პროექტიდან, ამ პროექტით უნდა დამტკიცდეს ქონების პრივატიზების გეგმა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მერიის განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი- ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ი. ანდღულაძემ, რომელმაც კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო საკრებულოს განკარგულების პროექტი და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მერიის განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი

წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი